პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 აპრილი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

ფინანსური

73 (1068)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის („ნეპ“) ხუთი წელი.

გავიდა ხუთი წელი მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ პირი იბრუნა იმ გზისკენ, რომელსაც ჩვენ დღესაც ვეძახით „ახალ“ ეკონომიურ პოლიტიკას.

სისტემა ეკონომიურ ღონისძიებათა, რომელიც იყო გამოწვეული ინტერვენციით და პროლეტარიატის უშალალითო ბრძოლით როგორც შინაურ, ისე გარეშე კონტრრევოლიუციონურ თავდასხმელებთან და რომელსაც საერთოდ უწოდებდით „სამხედრო კომუნიზმს“, არ იყო ყოველმხრივ აწონ-დაწონილი და გეგმიანი სისტემა სოციალისტურ მშენებლობის.

უარყოფა „სამხედრო კომუნიზმის“ და შეთვისება ახალი კურსის ეკონომიურ პოლიტიკაში არ იყო გადახრა „კომუნიზმიდან-ბურჟუაზიისკენ“, როგორც ეგონათ მაშინ ბევრ ამხანაგებს. ეს იყო გადასვლა სამხედრო კომუნიზმიდან სწორ სოციალისტურ მეურნეობისაკენ. ეს უკანასკნელი კი არის ერთ-ერთი ფორმა გადასვლისა სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ.

ახალი კურსის გავლენა ჩვენ მეურნეობაზე და მთელ კავშირის ეკონომიკაზე პირველ ხანებში არ იყო თვალსაჩინო, ვინაიდან არ იყო აღდგენილი კავშირი მეშებსა და გლეხებს შორის და დიდი ნაწილი საბჭოთა ქვეყნებისა მოცული იყო სიმშილობით. მისი გავლენა თვალსაჩინო გახდა 1923 წლიდან და შედეგებმა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გადაბარბეს ყოველგვარ მოლოდინს.

ჩვენ მივდივართ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გზით, ვიფართოებთ სოციალისტურ წარმოებას, ვაბამთ გლეხობის ფართე მასას სოციალისტურ აღმშენებლობაში, ვუშვებთ მას ყოველგვარ დახმარებას ასადორძინებლად ეკონომიურ და კულტურულ სფეროში, ვდევნით სოფლიდან ძველ, დახავსებულ ეკონომიკას, ვიფართოებთ კოოპერაციას—ყველა ეს ნათლად ამბობს, რომ მუშათა კლასს შეუძლიან სოციალიზმის მშენებლობა და აშენებს კიდეც მას.

ზედმეტია შეჩერება ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობაზე და შედეგებზე. შედეგები თვალსაჩინოა:

დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი კავშირის მეურნეობის და მრეწველობის, მათი გაგანტიური ზრდა და განვითარება—ეი შედეგები ახალი ეკონომიური პოლიტიკის.

აგრეთვე თვალსაჩინოა **პოლიტიკური** მნიშვნელობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის. წინათ—გლეხობის მეტყეობა, რომელიც ერთგვარ საფრთხეს უქადდა მუშათა კლასს, ეხლა—გააქტივება როგორც ქალაქის, ისე სოფლის, პარტიის გავლენის გიგანტიური ზრდა, საბჭოების გამოცოცხლება და ჩათრევა ფართე მასის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

გენიალურმა აზრმა, ჩვენი დიადი მასწავლებლის ლენინის, თავიდანვე სწორად განსაზღვრა მთელი მნიშვნელობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის, რომლის საძირკვლის ჩამყრელი იყო იგი, და ეხლა კი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ხუთი წლის თავზე ვხედავთ, რომ ცხოვრებამ სავსებით გაამართალა ლენინის აზრი.

მტკიცედ ჩავატაროთ პარტმუშაობის გადასინჯვა.

თანახმად პოლიტგანყოფილების დირექტივისა აპრილის თვეში მოხდება კომუჯარედების ბიუროების მდივნების და ლეგიონის პარტიული ბიუროების გადარჩევა. აპრილის თვე გამოცხადებულია პარტიული მუშაობის გადასინჯვის თვეთ.

ჩვენმა პარტ-უჯრედებმა უნდა გადაათვალიერონ ის მუშაობა, რომელსაც ის ეწეოდა გასული წლის საერთო შეკრების შემდეგ ე. ი. მთელი ექვსი თვის განმავლობაში.

ამისათვის ყოველმა პარტიის წევრმა, კანდიდატმა და კომკავშირელმა უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ასეთ დიდ მუშაობის გატარებაში. ყოველმა პარტიულმა და კომკავშირელმა უნდა დაუსვას თავის თავს კითხვა, თუ რა გააკეთა მან ამ ექვსი თვის განმავლობაში, თვითეულმა პარტმუშაკმა თვითონვე უნდა გადასინჯოს თავის ნამუშევარი და შემდეგ უნდა გაუკეთდეს ჯამი მთლიანად კომუჯარედის მუშაობას. მთელი ეს მუშაობა გატარებულ უნდა იქნას **თვით-გასინჯვის** ლოზუნგის ქვეშ.

პარტიული მუშაობის გადასინჯვა ჩატარებული იქნება ცვლებად პარტიულ შემადგენლობასთან ერთად, რაც ხელს უწყობს იმას, რომ მეიდროთ დაუკავშიროთ ძირეული და ცვლებადი შემადგენლობა, რაც აუცილებელი თავდებია შეკრებათა შორის მუშაობის ნაყოფიერი გატარებისა.

კომუჯარედების საანგარიშო კრებების დღის წესრიგში სდგას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, სახელდობრ ადგილობრივ პარტკომიტეტების მოხსენება ამა თუ იმ მაზრაში პარტმუშაობის ამოცანებზე. ამ საკითხის დასმა ჩვენი უჯრედების დღის წესრიგში უფრო ახლოვებს ნაწილებს ადგილობრივ ცხოვრებას, რაც თავდებია იმისა, რომ მომავლისათვის ნაწილების შემადგენლობა უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ ორგანიზაციების მუშაობაში. მეორე მხრივ კი ცვლებად პარტიულ შემადგენლობას, რომელიც მოისმენს ამ მოხსენებას სოფლად დაბრუნების შემდეგ, უნდა ქონდეს სწორი წარმოდგენა ყველა იმ საკითხებზე და ამოცანებზე, რომელიც წამოჭრილია პარტიისა და ხელისუფლების წინაშე, რომ სისწორით გაატაროს სოფლად პარტიის ხაზი.

ადგილობრივ პარტკომების მოხსენება უფრო ახლოვებს სამოქალაქო ორგანიზაციებს ტერიტორიალურ მშენებლობასთან, რაც აუცილებელი საჭიროა იმისთვის, რომ სისწორით გავატაროთ და დავაგვირგვინოთ შედარებით ახალ დაწყებული საქმე—ტერიტორიალური აღმშენებლობა.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში უსათუოდ არის მიღწეული, მაგრამ არის საგრძნობი ნაკლულოვანებაც. ამისთანავე საჭიროა რათა უჯრედების კრებებზე იქნეს მიღებული მთელი რიგი დონისძიებებისა, რათა გამოსწორებულ იქნეს დაშვებული შეცდომები და აღებული სწორი ხაზი მომავალი მუშაობისა. გადასინჯულ უნდა იქნეს მუშაობის ფორმები. ამ მხრივ უკვე საკმაო გამოცდილება აქვს ნაწილის პარტორგანიზაციებს.

მაგრამ მაინც არ არის გამონახული მთლიანი ფორმები ყველა დარგის მუშაობაში. ამისათვის მუშაობის სწორი ფორმების გამონახვაში (განსაკუთრებით შეკრებათა შორის) ყოველმა პარტიულმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

ნ. ბლუაშვილი.

ახალი რადიო ამბები

ჩინეთის ამბები

სახალხო არმიის მდგომარეობა უმჯობესდება.

მუკდენის ჯარების შეტევა შეჩერებულია, ხმებია, რომ ლი-ჩინ-ლინისა და ჩან-ძუნ-ჩანის ჯარებმა უკან დაიხიეს, ვინაიდან ზან-დუნის გენერლებმა ამბოხება მოაწყვეს.

უ-პეი-ფუ უთანხმდება სახალხო არმიას და აყენებს მოთხოვნილებებს, რათა სახალხო არმიამ შეინარჩუნოს პეკინი. განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პეკინ-ხანკოუს რკინისგზა უკვე ამუშავდა.

იაპონიის რწმუნებულმა იოშიზავამ განაცხადა, რომ რამოდენიმე დღეში სახალხო არმია დასტოვებს პეკინს.

ამ განცხადებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩინეთის წრეებში, რომლებიც ამბობენ, რომ ამით იაპონიას სურს სულიერად დასცეს სახალხო არმიის სარდლობაო.

გაფიცვა შანხაიში.

შანხაიში კვლავ გაიფიცა იაპონის ფაბრიკის 2.000 მუშა. გაფიცვები გამოიწვია დაჭრავებულ ხულიგანების თავხედობამ, რომლებიც თავს დაესხენ ფაბრიკის კომიტეტის თავჯდომარესა და წევრებს.

თეთრგვარდიელების თავხედობა.

თეთრგვარდიელ ნეჩაევის რიზმი სცდილობს არევდარევა გამოიწვიოს ტიან-ცზინში. ნეჩაევლები ეშურებიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს. 2 აპრილს თეთრვარდიელები შეიჭრენ სსრკ-ს საელჩოში და ჩამოჰკლიჯეს ფლაგი. თავდასხმელები დაიჭირეს საკონსულოს თანამშრომლებმა და გადასცეს ჩინეთის პოლიციას.

გრძოლა სარწმუნოებრივ ნიადაგზე.

ინდოეთის ქალაქ კალკუტაში მოხდა შეტაკება სარწმუნოებრივ ნიადაგზე სხვა და სხვა რელიგიურ მიმართულებათა შორის. დაიგრიეს სავაჭროები და სამლოცველოები. დაჭრილია რამოდენიმე ასეული კაცი. მოკლულია 12.

ამჟამად წესრიგი აღდგენილია.



ამხ. ქარახანი.

რეაქციონერთა კამპანია პარახანის წინააღმდეგ

ჩინეთის რეაქციონური გაზეთები აწარმოებენ კამპანიას საბჭოთა კავშირის ელჩის კარახანის წინააღმდეგ.

ერთი გაზეთი აცხადებს, რომ კარახანის პროპაგანდა, რომელსაც ის აწარმოებდა ჩინეთში მოსკოვის დღიდანვე, დამარცხდა.

მისმა პროპაგანდამ—ამბობს გაზეთი,—უკმაყოფილება გამოიწვია ჩინეთის ხალხში და უცხოეთის წარმომადგენლებს შორის და ამიტომ მისთვის უხერხულია პეკინში დარჩენაო.

ამ კამპანიას აწარმოებს რეაქციონერები, რომელსაც სურს ჩან-ძო-ლინის მთავრობის შექმნა პეკინში.

ამერიკა უკმაყოფილია ევროპით

შეერთებულ შტატებში თანდათან იზრდება უკმაყოფილება ენენევის მოლაპარაკების დამარცხებით. მან შეიძლება არც კი გაგზავნოს წარმომადგენლები საერთაშორისო ტრიბუნალში. შეერთებულ შტატებს ურჩევნია უშუალოდ აწარმოოს მოლაპარაკება სახელმწიფოებთან სადაო საკითხებზე.

იაპონიის გეგმა „განიარაღებისთვის“

განიარაღების კონფერენციაზე დანიშნულ იაპონიის დელეგატმა გატსუდამ განაცხადა, რომ იაპონია მოითხოვს ზომების მიღებას ზხამიანი აირების ხმარების წინააღმდეგ ომის დროს.

შეტაკება ირაკის საზღვარზე.

ირაკის საზღვრებზე მოხდა შეტაკება ინგლისის სამხედრო ძალებსა და აჯანყებულ არაბებს შორის. ინგლისელებმა ჰაეროპლანებისა და ბლინდაჟიან ავტომობილების საშუალებით მოიგერიეს აჯანყებულთა იერიშები.

საბჭოთა კავშირში

დაბრუნდა 136 ემიგრანტი

1926 წლის პირველი 3 თვის განმავლობაში სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყნებიდან მოსკოვში დაბრუნდა 136 პოლიტიკური ემიგრანტი.

საქართველოში.

სასოფ. სამ. გადასახადის შეკრება

მთელი საქართველოს მაზრაში 2 აპრილისთვის შემოვიდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი სულ 76.059 მან. 18 კაპ. რაიც შეადგენს 1925—26 წ. გადასახადის 80 პროც.

ამ ბოლო დროს შემჩნეულია სას.-სამეურნეო გადასახადის გაძლიერებული ტემპით შემოსვლა.

ახალი საექიმო პუნქტი

სოფ. ნაფარეულში (თელავის მაზრა) გახსნილ იქნა ახალი საექიმო პუნქტი.

ვაზების დამზადება

წინანდალის და კონდოლის ვაზის სადედების მიერ და მზადებული იქნა 500.000 ნამყენი ვაზი, რომლებიც დაური გდებათ გლეხებს.

სანიტარული განათლების საქმე ქართულ ნაწილებში

სანიტარული დარგის უცოდინარობა წითელ არმიელებს რომ დიდათ შეუშლის ხელს ბრძოლის დროს და მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშებისა და გლეხებისათვის მშვიდობიან დროსაც,—ამაზედ ლაპარაკი ზედმეტია.

წითელ არმიელი თუ კარგათ არის გარკვეული ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, მას საშვალება ეძლევა თავი დაიცვაროს ომის დროს იმ ცუდ მდგომარეობას, რაც წარმოსდგება სანიტარულ საკითხების უცოდინარეობით. წითელ არმიელმა რომ კარგათ იცოდეს—როგორ ვრცელდება გადამდები ავადმყოფობანი, რომ იცოდეს უბედურ შემთხვევის დროს მრძოლის ველზე პირველი დახმარების აღმოჩენა, თავის დაცვის საშვალებები საწამლავი ნივთიერებისაგან და სხვა მრავალი,—ყოველივე ეს დიდ დახმარებას გაუწევს—კარგად შეასრულოს მასზედ დაკისრებული მოვალეობა.

ამ მიზნით ტარდება ნაწილებში სანიტ-საათი ორ კვირაში ერთხელ. ორ კვირაში ერთხელ საკმარისი იქნება ყველა ნაწილებში სანიტ-საათი წითელარმიელებისათვის, მაგრამ წითელარმიელთა მასას ვერ აკმაყოფილებს ის დღევანდელი სახით. ჩვენი ნაწილის გამოცდილება საშვალებას იძლევა გადაჭრით ითქვას, რომ სანიტ-საათს ნაწილში მრავალი ნაკლი აქვს, რაიც საჭიროებს გამოსწორებას. პირველი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ წინასწარ ჩასატარებელ თემის დამუშავება არ ხდება სანიტ-საათის ჩამტარებელ ხელმძღვანელების მიერ კოლექტიურით და ხშირათაც დამოუკიდებლად ხელმძღვანელი წინასწარ არ ამუშავებს თემას. არის კიდევ მეგერი სხ. ნაკლიც. სხვა ნაწილების მუშაობას ამ მხრივ პირადად მე კარგად ვერ ვიცნობ, მაგრამ როგორც ამხანაგებიდან გავიგეთ, მეორ ნაწილში უფრო დაბლაა დაყენებული ეს საქმე.

ასეთი სანიტ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება საჭიროებს გამოსწორებას, უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი დაინტერესება და წინასწარი მუშაობა ხელმძღვანელის მხრივ, თორემ ყოველთვის ვენერიული ან სხვა ავადმყოფობაზე ლაპარაკი მეცნიერული რთული ენით ჩვენ წითელარმიელებს საჭირო განათლებას ვერ მისცემს. მეტი საქმიანი, სისტემატიური კავშირია საჭირო სანიტ-განათლების ჩამტარებელ ხელმძღვანელებს შორის, გაზიარება ურთიერთ შორის გამოცდილების და წითელარმიელთა საფუძვლიანად გათვითცნობიერება სანიტგანათლების დარგში.

ტ. მამალაძე.

დ.ხმარება გლეხოგას

მიმდინარე წელს სასოფლო სამეურნეო ბანკმა მისცა სიღნაღისა და თელავის მაზრებს 25.000 მანეთი რათა შეიძინონ გლეხთათვის კრედიტზე ნამყენი ვაზები.

სამეურნეო ორგანიზაციების გაერთიანება

ბორჯომის ორგანიზაციებმა გადაწყვეტეს გაეერთიანონ ბორჯომში კურორტის ყველა სამეურნეო ორგანიზაციები ერთ საადმინისტრაციო ერთეულში.

სამხედრო საქმე

სურსათ-სანოვაგის დამზადება წითელ ჯარში.

სურსათ-სანოვაგის შეძენის დროს, ერთეულმა მოკლე ხანში უნდა გამოარკვიოს, სადაა შესაძლებელი რომ უფრო ხელსაყრელ პირობებში შეძენილ იქნნას სანოვაგე; ამ მიზნის განსახორციელებლად ჯარის ნაწილმა უნდა შეისწავლოს ეკონომიურად თავის მდებარეობის რაიონი, გამოარკვიოს სად შეიძლება სანოვაგის მარდათ შეძენა, რომელ სოფელშია ზედმეტი სანოვაგე და სხვა.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით სურსათ სანოვაგის შეძენა უშუალოდ მწარმოებლებისაგან ძნელი საქმეა, რადგან იგი ახალი საქმეა ჩვენთვის და ვერც ვართ ამაში სათანადოთ დახელოვნებული, უნდა იყოს ამისთვის გამომუშავებული ერთგვარი მიზანშეწონილი გეგმა დამზადებისა, უნდა იყვნენ ერთეულში დამზადების მცოდნე პიროვნებები, რომლებიც აწარმოებენ უშუალოდ დამზადებას, უნდა გამომუშავებული იქნნას ამ უკანასკნელთათვის დაწვრილებითი და სწორი დასტურლმა დამზადებისა, ამას გარდა უნდა აუცილებლივ ანგარიში გაეწიოს პროდუქტების კონდიციურ მოთხოვნილებებს და სხვა.

სამოქალაქო დამამზადებელი არაა დაკავშირებული კონდიციების მოთხოვნილებებთან, მას შეუძლია იყიდოს მაგალითად ხორცი—ყველა ხარისხისა, ერთში მისცემს მეტს, მეორეში—ნაკლებს და საერთოდ გაყიდვის დროს მოიგებს; სამხედრო დამამზადებელისთვის კი კონდიციებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელოვანობა და ამიტომ მან უნდა შეიძინოს მხოლოდ ერთი ხარისხის ხორცი.

დასასრულ ჩემის აზრით უშუალოდ დამზადება მწარმოებლებისგან, მიუხედავთ იმისა, რომ ეს ფასის მხრივ უფრო ხელსაყრელია, ჯარის ნაწილისთვის უნდა ჩაითვალოს ამჟამად ძნელ საკითხთ, რომელიც ჯერ კიდევ მოითხოვს ჩვენგან დაბეჯითებითი დამუშავებას; დამზადება კი მოიჯარადრის (კოოპერატიულ და სხვა და სხვა ორგანიზაციების) საშუალებით ჯერ-ჯერობით უნდა ჩაითვალოს უფრო მიზან-შეწონილათ.

ნ. შანშიაშვილი.

ჩვენი საგხედრო სამეცნიერო ორგანიზაცია.

(იხილე 71 და 72 ნომრები)

ყოველი მუშაობის გეგმა უნდა ყოფილიყოს გათვალისწინებული; მუშაობის აღრიცხვა და ანგარიში უნდა წარმოებდეს ყოველ კუთხეში. მოსახლეობის და მოქალაქეების გასამხედროების საქმეში აგრეთვე დიდი როლი უნდა ითამაშოს მეზრების სამხედრო კომისარიატებმა და საზედრო მაგიდებმა, რომლებიც დღემდის ამ მუშაობაში ჩართული არ არიან.

რაც შეეხება ძირეული სამხედრო ნაწილების მუშაობას ამ მხრივ, ეს უნდა გიიყოს ორ პერიოდათ: პირველი ზამთრის, (ყაზარმული მოთავსება) მეორე ზაფხულის (საბანაკო).

პირველ პერიოდში მუშაობა უნდა სწარმოებდეს—ფაბრიკა-ქარხნებში, სამოქალაქო სკოლებში და სხვა სამოქალაქო ორგანიზაცია - დაწესებულებებში, სადაც მუშაობა ყოველ მხრივ შეიძლება გაფართოებული იქნეს, რადგანაც აქ უფრო მომზადებული და შეგნებულ ამხანაგებთან გვექნება საქმე.

აქ შეიძლება მოეწყოს „ტირი“ და მრავალი თვალსაჩინოებანი, აგრეთვე ისარგებლონ ნაწილის ლაბორატორიებით და სხვა კაბინეტებით. მაგრამ თეორია აქაც არ არის დიდი მოზაზშეწონილი, რადგანაც მუშა გეტყვის: „არ მინდა დეტალები, შემასწავლე, როგორ ავიღო ნიშანი და მოკვლა მტერიო“ და სხვა. გარნიზონის გაერთიანების მასშტაბით უნდა სწარმოებდეს (სხვა და სხვა სამოქალაქო-სამეცნიერო დაწესებულებების და უმაღლეს სასწავლებლების გასამხედროების მუშაობა, საიდანაც უნდა მივიღოთ მომავალი სათადარიგო უფ-შემადგენლობა, რომლის აქტიურ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნენ სათანადოთ მომზადებული სამხედრო პირები. რასაკვირველია, აქ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სათადარიგო უფპოლიტ-შემადგენლობას, რომლის რიცხვი აღნიშნულ ადგილებში გაცილებით მეტია, ვიდრე საადმ. აგრეთვე მილიციას ქალაქების და მაზრების. მეორე პერიოდის მუშაობა (საბანაკო) აქ ისეთივე ხასიათის უნდა იქნეს, როგორც ტერიტორიალურ წერტებზე, მაგრამ რასაკვირველია, მეტი გამოცდილებით, მეტი ენერგიით და სხვა.

ჯ. ქუთელია.

თადარიგის მეთაურები და სამხ.-სამეცნიერო ორგანიზაცია.

თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის მომზადება—სასწავლო წერტებზე გაწვევით, მათი გადამზადებით და სამხედრო ვალდებულთა მოსამზადებლად მიზიდვით—არ შეიძლება სავსებით გადაწყდეს. საჭიროა თვით თადარიგის მხრივ აქტივობა და თვითმოკმედება. ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ამ ამოცანის ასრულებას—ეს არის სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაცია.

დღევანდელი ამოცანაა—თადარიგის მეთაურთა მიზიდვა სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციაში.

ამ ამოცანის ასასრულებლად ტფილისის გარნიზონის სამხ.-სამეცნიერო ორგანიზაციამ გამოჰყო ორგანიზაციის მუშაკთა რამოდენიმე ჯგუფი, რომლებიც აწარმოებენ მუშაობას თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის შორის ხელახალი აღრიცხვის წერტებზე, სადაც უსნიან სათადარიგოელებს მათ ამოცანებს მომავალ ომებთან და ტეხნიკის მიღწევებთან დაკავშირებით, აწარმოებენ თადარიგის ჩაწერასა და მიწერას ორგანიზაციებზე.

სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციების ამოცანა დიდია და რამდენად წარმატებით ჩაატარებენ გამოყოფილი ამხანაგები მუშაობას წერტებზე, ამაზე დამოკიდებული იქნება ორგანიზაციის გაძლიერება წევრებით თადარიგის მეთაურთაგან.

ი. ბ.

მ.გ.წ. არმიიდან გათავისუფლებულ მეთაურთა შემადგენლობის უზრუნველყოფა.

(ახალ კანონზე პენსიების შესახებ).

(დასასრული) *)

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პენსიები გამოიანგარიშება ძირითადი ჯამაგირიდან უკანასკნელი თანამდებობის მიხედვითა; პენსიის გამოანგარიშებისთვის საფუძველის არჩევის დროს აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ პენსია გამოანგარიშებულ უნდა იქნას ის საფუძვლის მიხედვით, რომელიც იძლევა უფლებას უმაღლეს სიდიდის პენსიაზე.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს „დადგენილების“ მიერ შემოღებულ პრინციპს, რომ პენსიონერის საპსახურში შესვლა არ ართმევს მას პენსიის მიღების უფლებას. გათვალისწინებულია რა, რომ პენსიით უზრუნველყოფის უმთავრესი მიზანი-ინვალიდების უზრუნველყოფა, და რომ სრული პენსია მიეცემოდ იქნება მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, როცა პენსიონერებს არ აქვთ საშუალება ჰქონდეთ რიმე შემოსავალი შრომით (პირველი ჯგუფის ინვალიდები და პირები, რომელთაც 30 წელი უმსახურია),—აღნიშნულ პრინციპის გატარება დიდ შესაძლებლობას ჰქმნის იმისთვის, რომ გათავისუფლებულმა მოსაძენოს თავისთვის სამუშაო და ადგილი დამატებითი საარსებო წყაროსთვის. ამ შემთხვევაში პენსიის რაოდენობა მცირდება მხოლოდ მაშინ, როცა პენსიის და ხელფასის ჯამი მეტი იქნება ჯამაგირზე, რომლის მიხედვითაც გამოანგარიშებულ იქნა პენსია.

სამხედრო მსახურის ან პენსიონერის სიკვდილის ყველა შემთხვევაში დადგენილება ითვალისწინებს მისი ოჯახის პენსიით უზრუნველყოფას. აწესებს რა ზოგად პრინციპს, რომ ოჯახის უფლება პენსიაზე წარმოადგენს უფლებას, წარმოადგარს თვით სამხედრო მსახურის უფლებისგან პენსიაზე, „დადგენილება“ განსაზღვრავს პენსიის სიდიდეს იმ პენსიის რაოდენობასთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნული ჰქონდა პენსიონერს, ან და სამხედრო მსახურის გარდაცვალების შემთხვევაში დანიშნებოდა მას, როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდს.

სოვლის რა, რომ სამხედრო მსახურის ოჯახის ყველა ახლობელი წევრები, რომლებიც იმყოფებიან მის უზრუნველყოფაზე, აქვთ თანასწორი უფლება პენსიაზე, „დადგენილება“ არ გამოჰყოფს ამ შემთხვევაში სამხედრო მსახურის ცოლს, არამედ აწესებს პენსიის რაოდენობას მხოლოდ ოჯახის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით.

ოჯახის წევრებად, რომელთაც უნდა მიეცეს სახელმწიფო უზრუნველყოფა ითვლება:

ა) შვილები, ძმები და დები 16 წლის ჩასაკმედი.

ბ) შვილები, დები და ძმები, რომლებიც ინვალიდობის გამო მიკუთვნებული არიან ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფთაგანზე, თუ რომ მათ დაუკარგავთ შრომის უნარი 16 წლის ჩასაკის მიღწევამდე;

გ) შრომის უნარ დაკარგული მშობლები ან მეუღლე, რომლებიც მიკუთვნებულია ინვალიდების ერთ-ერთ პირველ სამ ჯგუფთაგანზე.

დ) „გ“ მუხლში ჩამოთვლილთაგან ის პირები, რომლებიც თუნდაც შრომის უნარიანნი იყვნენ, მაგრამ თავის მზრუნველობაზე ჰყავთ გარდაცვლილ სამხედრო მსახურის ან პენსიონერის შვილები, ძმები და დები, რომელთაც არ მიუღწევიათ 8 წლის ჩასაკამდე.

მეთაურთა შემადგენლობის პირთა ოჯახების ენიშნება პენსია 100%-ს ანუ სრული ჯამაგირის რაოდენობით, თუ რომ თავის შემადგენლობაში ოჯახს ჰყავს 3 კაცი, 75%-ს რაოდენობით,—თუ რომ ოჯახი შესდგება ორი კაცისაგან და 50%-ს რაოდენობით—ერთი კაცისთვის.

დაგვრჩა კიდევ რამოდენიმე სიტყვა პენსიის დანიშვნის წესის შესახებ.

პენსიების დანიშვნის შესახებ საკითხების უფრო ჩქარი გარჩევის მიზნით „დადგენილებით“ შემოღებულია დეცენტრალიზაცია, ე. ი. პენსიების დანიშვნა, როგორც საერთო წესი, სწარმოებს ოლქების ჯარების უფროსთა მიერ.

ამას გარდა პენსიის დანიშვნის უფლებით სარგებლობს მ. გ. წ. ა. მთავარ სამმართველოს უფროსი—იმ პირთათვის, რომლებიც უშუალოდ ემორჩილებიან სახალხო კომისარს, და აგრეთვე მ. გ. წ. არმიის ცენტრალურ სამმართველოების უფროსთა შემადგენლობისთვის; მ. გ. წ. არმიის საზღვაო ძალთა-უფროსი—საზღვაო ძალთა მთელი უფროსთა შემადგენლობისთვის; ცენტრისა და ოლქების სამხედრო—სანიტარულ სამმართველოების უფროსები—მ. გ. წ. ა. საექიმო შემადგენლობისთვის, და აგრეთვე მ.გ.წ.ა. სამხ. სანიტ. დაწესებულებათა უფშემადგენლობის ყველა პირთათვის; ოლქის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო—ხსენებულ უწყების ჯარებისთვის და ცხენოსანი რაზმის (სტრაჟა) უფროსი—ხსენებულ ნაწილის მსახურთათვის.

ამავე მიზნით, ე. ი. პენსიის დანიშვნის საკითხის განხილვის დაჩქარების მიზნით „დადგენილება“ ითვალისწინებს:

1) რომ პენსიის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობას სძრავს უფროსები გათავისუფლების შესახებ, და არ ელოდებიან რაიმე განცხადებას თვით გასათავისუფლებელის, ან მისი ოჯახისგან;

2) რომ დადგენილება პენსიის დანიშვნის შესახებ უნდა მოჰყვეს არა უგვიანეს 2 თვისა შუამდგომლობის აღძრის დღიდან;

3) იმ შემთხვევაში, როცა პენსიის დანიშვნის შესახებ საკითხი არ იყო აღძრული უფროსთა მიერ, და აგრეთვე პენსიონერის გარდაცვალების ყველა შემთხვევაში, შუამდგომლობის სძრავს დაინტერესებული პირი; მასთან ეს შუამდგომლობა იგზავნება უახლოეს სამხედრო კომისარიატში ან ტერსამმართველოში.

საჩივრების განსახილველად, დაინტერესებულ პირთა შეხედულებით უკანონო უარისთვის პენსიაზე ან პენსიის არა სწორად გამოანგარიშების შესახებ, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსდება საუწყებათშორისო ცენტრალური კომისია მ. გ. წ. არმიის მთავარ სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით. ამ კომისიის დადგენილება, დამტკიცებული სახალხო კომისრის ან მისი მოადგილის მიერ საბოლოოა.

ფაქტიური მიცემა პენსიების სწარმოებს პენსიონერის საცხოვრებელ ადგილზე საკავშირო რესპუბლიკების ფინანსთა კომისარიატების ადგილობრივ ორგანოების მიერ პენსიონერის მიერ სპეენსიო წიგნაკის წარდგენის შემდეგ.

პ. პოლიანსკი.

*) იხ. „წით.არმ.“ № 72 (1067)

ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

ვემზადებით საგანაკოდ.

ქართ. ცხენ. ლეგიონი.

უკვე შეუდექით საბანაკო მოწყობას; სამხედრო მეცადინეობა ყოველდღე სისტემატიურად სწარმოებს, უფრო მეტად ცხენოსნობა.

რამოდენიმე დღეა, რაც რომ დავიწყეთ ცხენებით მწყობრული მეცადინეობა, როგორც ნაბიჯებით, ისე ჩორთით და ნავარდზე გადასვლით, ბარიერებზე, ნავარდით და ჩორთით ხეტვა, ყოველიმხრივ, შუბებით მეცადინეობა, ვარჯიშობა შუბებით ცხენებზე, ჩხვლეტა ყოველ მხრივ და მტერის მოგერიება. ასე გეგმიანად მიმდინარეობს ცხენოსან ლეგიონში მეცადინეობა ამჟამად.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე პოლიტ-მეცადინეობასაც, უკვე თავდება საზამთრო პერიოდის პროგრამები და მალე მოხდება წითელ არმიელების ცოდნის მიხედვით გადაჯგუფება.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

ჩვენი კავშირი მუშებთან

მე-2 ლეგ. მე-8 ასეული.

ამას წინად ლეგიონის მე-8 ასეულის მთელი შემადგენლობა გავემგზავრეთ ადგილობრივ თამბაქოს ქარხნის დასათვალიერებლად. მისვლისთანავე შამოგვეგებენ მუშები და გამომართა მიტინგი. გავაცანით ჩვენი მისვლის მიზეზი, რომ გვსურდა მჭიდრო კავშირი დაგვეჭირა მათთან, რასაც დიდი სიხარულით შეეგებენ მუშები.

შემდეგ დავიყავით ჯგუფებად და შეუდექით ქარხნის დათვალიერებას. დაწვრილებით აგვიხსნეს, თუ რა როლს ასრულებდა თითეული მანქანა და როგორ მუშაობდენ მასზე.

ვინახულეთ აგრეთვე ქარხნის კლუბი, სასადილო, ლენინის კუთხე, სამკითხველო და სხვა, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

ჩვენდა საპატივცემოდ დაუკრა ქარხნის სამხედრო ორკესტრმა, რის შემდეგ გამოვეშურეთ ნაწილისკენ.

სამხკორი მათეშვილი.

პოლიტ-საათებს კარგად ვითვისებთ.

მე-2 საკავშირო ასეული.

ასეულში ნორმალურად მიმდინარეობს პოლიტ-მეცადინეობა. წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა გაყოფილია ორ ჯგუფად ცოდნისდა მიხედვით. წერა-კითხვის უცოდინარები მალე შეეჩვიენ ანბანს და ამჟამად ისინიც გულმოდგინეთ მეცადინეობენ პოლიტ-საათებში.

პოლიტ-ხელი შესაფერად მიუდგა წითელ არმიელებთან მუშაობას და უნდა ითქვას მოკლე ხნის განმავლობაში შესაფერი ნაყოფიც მივიღეთ.

შევისწავლეთ აგრეთვე ანგარიში. ოთხი მოქმედება. კარგი იქნება მხოლოდ, რომ მეორე ჯგუფისათვის იშოვიდენ ბუქს, რის უქონლობაც ძლიერ გვტაყვანა.

სამხკორი გოგლიძე.

როგორ ვიცავთ სახალხო ქონებას.

მე-2 არტლეგიონი.

2 აპრილს სალამოს, ცეცხლი გაუჩნდა ზეთის სახელო ქარხანას. ლეგიონის მთელი შემადგენლობა ფეხზე დაადგა ამ გარემოებამ და მივეშველეთ ქარხნის მუშებს. გამოგვეგზავნა ნედლი მასალა გარედ და ვიწვდიდით წყალს ცეცხლის ჩასაქრობად, ჩვენმა წითელ არმიელებმა მცირე ხნის განმავლობაში გამოიტანეს ქარხნიდან გარედ 200 ტომარა ბამბის კურკა. მოგვეშველენ სხვა ნაწილებიც და ვიცავდით შენობას ცეცხლის მქრობელი რაზმის მოსვლამდე. 11 საათზე ცეცხლი ჩაქრობილი იქნა და დავბრუნდით ნაწილში.

ალ. კვახაძე.

მოხსენება ავიაქიმსა და ავიაფლოტზე.

1-ლი ლეგ. ბატარეია.

ამ რამოდენიმე დღის წინად ბატარეიაში შესდგა ნაწილის გერთიანებული კრება. მოსმენილი იქნა მოხსენება ავიაქიმსა და ავიაფლოტის შესახებ.

გარკვეული იქნა ამ უჯრედების მიზანი წითელი ჯარის რიგებში და ის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანიზაციებს საბჭოთა კავეყნების საბჭოდრო და ეკონომიური ძლიერებისათვის. წითელ არმიელებმა ერთხმად გამოსთქვეს სურვილი ჩაეწერონ აღნიშნულ უჯრედებში და ხელი შეუწყონ მათ ნაყოფიერ მუშაობას.

ამორჩეული იქნა უჯრედების მბეურო, რომლებშიდაც უმეტესობა წითელ არმიელები შედიან.

იმედია ამხანაგები გამამრთლებენ იმედებს თავისი მუშაობით.

სამხკორი შ. ჩადუნელი.

ხელს გვიშლიან.

1-ლი არტლეგ. სკოლა.

ლეგიონის სკოლის შემადგენლობა დაყოფილია ხუთ ჯგუფად კურსანტების ცოდნის და მიხედვით, რომლებიც მეცადინეობენ ცალ-ცალკე. სამწუხაროდ პირველი ჯგუფის ზოგიერთი ამხანაგები ვერ იქცევიან შესაფერად. ხშირად შედიან ლენინის კუთხეში იმ დროს, როდესაც იქსხედან წითელ არმიელები სხვა ჯგუფებიდან და მეცადინეობენ. ასტეხენ ერთ აფურ-ხაურს, ხმაურობას და ხელს უშლიან მკითხველ წითელ არმიელებს. ამის გამო არა ერთხელ მივმართეთ მათ, მაგრამ თხოვნამ ვერ გასჭრა. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მესვეურებმა ამ გარემოებას და აუკრძალონ ამხანაგებს ასეთი ცუდი საქციელის ჩადენა.

სამხკორი ჭინჭარი.

ჩვენთანაც ატარებენ პოლიტ-საათებს.

მე 3 ლეგ. 2 ასეული.

ხსენებულ ასეულში სისტემატიურად სწარმოებს სანიტარული საათების კითხვა, რითაც მეტის-მეტად არიან დაინტერესებული ჩვენი წითელ არმიელები. ჯერ-ჯერობით მოგისმენეთ საუბრები ადამიანის საერთო აგებულებაზე, ჩონჩხზე და სხეულის სხვა ნაწილებზე. წითელ არმიელები დიდი კმაყოფილი რჩებიან ლექციებით.

იმედია ამხ. ექიმი კიდევ უფრო მონდომებით შეუდგება ლექციების კითხვას.

სამხკორი ნიბლია.

ირანის ვაღლებზე.*)

(დასასრული)

— როგორ?! ზღვას გადავრჩით და წვეთმა დაგვიღრჩოს!?

— წამოიძახა, ანდაზა, ერთმა მათგანმა...

— ვიბრძოლება, რევოლიუციონური ენტუზიაზმი, მარა იარაღ აყრილებს რა შეეძლოთ?..

— ამხანაგებო, თამამად სიკვდილს!

— გაამხნევეს ერთმანეთი...

— სადაც იმოდენი ამხანაგები დავტოვეთ ირანის ველებზე, იქაც ჩვენ!

— გადაეხვიენ ერთმანეთს, გადაკოცნეს, გამოემშვიდობენ...

— ბრძოლაში მაინც დავოცილიყავით...

— ასე სიკვდილი...

— ეჰ...

— ვისმა უკანასკნელად, და ელვა ხმალმა, წუთებს ითვლიან...

— სიოცხლე იღუნება...

— ალარაფრის იმედი...

— აჰუ, მომყევით!

იყვირა ხანმა, მოულოდნელად, და გაეპენა ცხენი...

— მიჰყვნენ მხედრები.

ქუდმოგლეჯილები გარბიან იმავე ჯზით...

— რაზმელები გაჰკვირდენ...

— რაშია საქმე?

ყველას სიზმარში ჰგონია თავი...

— ერთმანეთს ულოცავენ გადარჩენას, სიცოცხლეს...

— მოიცათ, მოლოცვა ჯერ ადრეა, შეხედე?

— და ანიშნა იმ რაზმელმა ამხანაგებს, რომელსაც პირველად უნდა წასცოდა თავი, ხელი გაუშვირა ღელეს გაღმა...

— ახლა მეორე მხრიდან მოჰქროდენ წინანდელებზე მეტი ცხენოსნები...

— ამოღებული ხმლები ელავდენ მზის სხივებზე...

— ერთი მათგანი მიეჭრა რაზმელებთან და შესცინა...

— იაზასუნ გურჯი!

— გადმოსძახა ცხენიდან ან კვლავ გაჰქუსლა თავისიანებისკენ, რომლებმაც უკვე ფეხზე შახსევანეს...

— დაიწყო კაფეა...

— ტრიალელი...

— ბახტიარები!..

სიხარულით შეჰყვირეს რაზმელებმა:

— სიკვდილს გადარჩენილი პოზა...

— ლ.

— და, მოდიოდენ სპარსეთის რევოლიუციაში ვალგადახდილი თბილისის შვილები, რომელთაც არსადა სწამდათ დამარცხება, მაგრამ ყველა მათგანს ერთი რამ სწყინდა:

— ეს იყო ის, რომ სპარსეთის ხალხიც ისევე აღმოჩნდენ რევოლიუციისათვის მომზადებულნი, როგორც ჩვენში, და ერთი შაჰის—მამის—მაგიერ მეორე, შვილი დასვეს ტახტზე, რეგენტის მეთვალყურეობით...

— და გადასწყვიტეს დაბრუნება ისევ სამშობლოში, აქ დარაზმვა, მუშაობა და ბოლოობის შეკავშირება, მეფის ჩამოგდება მშრომელთა რესპუბლიკის დარსება და აქედან აჯანყების ბომბების სროლა სხვა ქვეყნების გასაღვიძებლად...

ბოლოთქმა:

— დაასრულა ვანომ ტოლოდების შემოხსნა დაიწყო, დასაწოლად განემზადა...

— ამხანაგები ისე დაინტერესა ამ ამბავმა, რომ, ბევრმა მათგანმა, რომელთაც თითქოს არაფერი ამის მსგავსის თქმა არ შეეძლო, განაცხადეს, რომ ისინიც იტყვიან შემდეგ საუბრებში ზოგი სინანდვილეს და ზოგი ხალხში მრავლად დარჩენილ ზეპირ გადმოცემებს და ლეგენდებს.

— აი ვერ ვიტყვეთ? ძაან კარგად მოჰყევი?..

— ეუბნებოდა სამსონა, ვანოს...

— ამდენი ბრძოლები გადიხადა სპარსეთის ხალხმა, ორი შაჰი გადმოაგდო და ეხლა ვიღაცა რიზა ხანი გაამეფა?

— ხალხი ჯერ ჯერობით ბნელია, მას ვინა ჰკითხავს, დადგება დრო განათლდება და ალბად იმასაც მალე გადმოაყირავებს.

ისმოდა კვლავ...

ს. ერთაწმინდელი.

გასამხედროების საქმე კარგად მიმდინარეობს.

მე-6 ლეგიონის მე-2 ასეული.

ასეულმა მოიწყო სამხედრო კუთხე ადგილობრივ მუშათა კლუბში, ბოლნის კაბანაჩში და პოხლოში. კუთხეების გახსნისას წაკითხული იქნა ყველგან შესაფერი მოხსენებები თუ რა მნიშვნელობა აქვს კუთხეებს მოსახლეობის გასამხედროებისათვის. დანაწილებული იქნენ მეთაურები, რომლებიც სისტემატიურად ჩაატარებენ კუთხეებში სამხედრო ხასიათის საუბრებს. მოსახლეობა ძლიერ დაინტერესებულია ამ საქმით.

ამას გარდა ასეულს მჭიდრო კავშირი აქვს თავის ცვალებადელებთან. ყველა თემებში არიან რწმუნებულები გამოყოფილი. კარგი კავშირია აგრეთვე ადგილობრივ ხელისუფლებასთანაც ამ ბოლო ხანებში.

დაარსდა სამხედრო სამეცნიერო საზოგადოება, რომლის გამგეობაში შედიან როგორც ჩვენი ასეულის, ისე სამაზრო პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. გამგეობა ამ ახლო ხანში შეუდგება დასახულ ამოცანების სისრულეში მოყვანას.

სამხკორი ელ. გრიგოლია.

სამაგალითო ალმაზრდელი.

მე-3 ლეგ. მე-3 ასეული.

ასეულში არის ერთი ოცეული თავი მანაგაძე, რომელმაც გასულ წელში გაათავა უმაღლეს მეთაურთა სკოლა და გადმოგზავნილი იქნა მე-3 ლეგიონში. მოსვლისთანავე ამხანაგი გულმოდგინეთ შეუდგა მუშაობას და მაგალითის მიჩვენებელი შეიქნა თითქმის ყველასთვის. წითელარმიელებთან ძალიან კარგ დამოკიდებულებაშია. სამსახურის დროს თხოულობს სამსახურს, მაგრამ მის გარეშე, საუკეთესო ამხანაგია წითელარმიელებისთვის. თავისუფალ დროს მეტნაწილად წითელარმიელებთან ატარებს და უხსნის დაინტერესებულებს სხვა და სხვას საკითხებს. მან მრავალ წითელარმიელებს აღუძრა ცოდნის შეძენის სურვილი.

ამავე დროს ხელმძღვანელობს ათასეულის სპორტს. უსურვებთ მეთაურთა სკოლას ბევრი გამოეზარდოს ასეთი სამეფოთა ხელისუფლებისთვის.

წ. არმ. ილია ყორნისელი.

მე-4 ლეგ. მე-8 ასეული.

ასეულში სისტემატიურად სწარმოებს ყოველკვირა მეცადინეობა წითელარმიელებთან. მოწყობილი გვაქვს სამხედრო კუთხე თვითონ ასეულში, სადაც ყოველდღიურად ორ-ორი საათი სწარმოებს მეცადინეობა კაღრის წითელარმიელებთან. ვარჩევთ სხვა და სხვა სამხედრო ხასიათის საკითხებს და ვეცნობით სამხედრო ტეხნიკის უახლოეს მიღწევებს.

სამხედრო კუთხე მოვაწყვეთ აგრეთვე ახალციხის კომკავშირის კლუბში, სადაც მეცადინეობას ხელმძღვანელობენ ჩვენი ასეულის მეთაურები—ქართელ და სომხურ ენებზე კვირაში ერთჯერ. კომკავშირელები დიდი ინტერესით ეკიდებიან საუბრებს.

ქართულად მეცადინეობას კუთხეში სისტემატიურად ეწარმოებიან 15 ვაჟი და 6 ქალი, პიონერები და კავშირის წევრები. სომხურს კი—30 ვაჟი და 3 ქალი.

კომკავშირის წევრები სცდილობენ კიდევ უფრო გაადიდონ ეს რიცხვი, რისთვისაც ენერგიულად ეწევიან ახალგაზრდობაში აგიტაციას მათი მეცადინეობაში ჩათრევის მიზნით.

სამხკორი კალმის წვერი.

სამხკორთა ალმაშენებლობა მე-3 ლეგიონში

2 აპრილს ლეგიონში შესდგა ნაწილის სამხკორთა თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. გეგია. თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: სამხკორთა ძირითადი ამოცანები, ნაწილის კედლის გაზეთი, სამხკორთა პოლიტიკურად აღზრდა და სხვა მიმდინარე კითხვები.

ამხანაგმა გეგიამ დაწვრილებით განმარტა სამხკორის მოვალეობა, რას უნდა მიაქციოს მან ყურადღება, რით უნდა ხელმძღვანელობდეს კორესპონდენციის წერის დროს და რა მნიშვნელობა აქვს ფაქტის გადაუმუტებლად აღნიშნვას. შემდეგ მომხსენებელი შეეხო კედლის გაზეთის ტეხნიკურ მხარეებს და მიუთითა სხვა და სხვა ნაკლულოვანებებზე, რომლებსაც საჩქაროდ უნდა მიექცეს ყურადღება. საჭიროა კედლის გაზეთში სხვა და სხვა განყოფილებების შემოღება და ეს მრავალფეროვანობა უფრო მიმზიდველად გახდის მასო.

საერთოდ სამხკორთა ალმშენებლობას ჩვენს ლეგიონში დიდი ყურადღება ექცევა. ყველა ნაწილებში არსებობს ცალკე ჯგუფები, რომლებიც თანდათან იკრებენ თავის გარშემო წითელ არმიელთა უმეტესობას.

სამხკორი ნ. კალანდაძე.

*) იხ. „წითელ არმიელი“ № 72 (1067)

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

ქართ. სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედის მუშაობა.

ჩვენი კომუჯრედი არც უწინ მოისუსტებდა და დღესაც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. დანიშნულ დროს ყოველთვის ეწყობა, როგორც დიდ აგრეთვე დახურული კრებები, რომლებზედაც კეთდება სხვა და სხვა საინტერესო მოხსენებები. ამას წინეთ დავამთავრეთ დიეიზისა და არმიის მეოთხე პარტკონფერენციის შესწავლა. კომუჯრედის მთელი შემადგენლობა იწონებს და იმედს გამოსთქვამს, რომ გავტაროთ ცხოვრებაში ყველა დადგენილებები.

კავშირი ორგანიზაციებთან.

გვაქვს კავშირი, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებთან. წერილობითი კავშირი გვაქვს აზერბეიჯანის და სომხეთის სამხ. პ. სკოლის კომუჯრედთან, ვეცნობით ერთიმეორის ყოფა-ცხოვრებას და მუშაობას. მჭიდრო კავშირი გვაქვს ქალაქის წყალსადენის კომუჯრედთან. გვყავს მიმგრეული ერთ-ერთი ამხანაგი, რომელიც სისტემატიურად ესწრება მათ კრებებს და ეწევა მათ სათანადო ხელმძღვანელობას სხვა და სხვა მოხსენებების სახით. მათთან შეერთებულათ ხთება აგრეთვე გაერთიანებული კრებები და უმეტესათ ვიზიდავთ მუშებს სამხედრო ხასიათის მეცადინეობაში. მჭიდრო კავშირი გვაქვს აგრეთვე ზაკჩეკასთან, მეთაურთა სკოლასთან, პირველ ლეგიონთან და სხვა.

კავშირი კომკავშირთან.

სკოლაში არსებობს კომკავშირის უჯრედი, რომელსაც შესაფერის ხელმძღვანელობას უწევს კომუჯრედი. კომკავშირთან არსებობს პოლიტ-წრე, რომლის მუშაობა სისტემატიურათ მიმდინარეობს კვირაში ერთხელ.

ძველის გაზეთის საქმე.

კომუჯრედს აქვს თავისი კედლის გაზეთი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ, როგორც უფ და კურსანტთა შემადგენლობა, აგრეთვე სკოლის სამნეო გუნდის წითელარმიელებიც. თუ წინათ ჩვენი გაზეთი ვერ ახწევდა თავის მიზანს და მას აკლდა ბევრი რამ, დღეს ყველაფერი გამოსწორებულია.

ჩვენი მომავალი მუშაობა.

თვენახევრის შემდეგ ჩვენი სკოლა გავა ბანაკში, მაგრამ ამით მაინც არ შესუსტდება ჩვენი მუშაობა; პირიქით, მაშინ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო და ამისათვის წინასწარ ვემზადებით ჩვენც, ვინაიდან იქ ველოხობასთან ვიქნებით დაახლოებული და უნდა გაუწიოთ მათ სათანადო ხელმძღვანელობა.

სამხკორი მიშა ცქიფურიშვილი.

სამხ. სამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

მეთაურთა სკოლის წითელ არმიელები აქსკურსიაზე.

3 აპრილს სკოლის უშეფობრო და სამეფობრო გუნდის წითელ არმიელები წაგვიყვანეს ლენინის სახელობის მე-3 სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის სანახავად. მუშები კარგად დაგვხვდნენ. დაგვყვნენ ჯგუფებად, ამოგვიდგენ გვერდში და დაწვრილებით გვიხსნიდნენ ყველა მანქანებს და მუშაობის წესებს. პირველად ვნახეთ თამბაქოს საპერი მანქანა, თამბაქოს გამცარელი და მრავალი სხვა.

ძლიერ დავინტერესდა, თუ როგორ აწარმოებენ თამბაქოს სხვა და სხვა ხარისხებათ გადარჩევას.

ექსკურსიამ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე.

კარგი იქნება, თუ ჩვენი უფროსები ხშირად წაგვიყვანენ სხვა და სხვა დაწესებულებების დასათვალიერებლად.

სამხკორი კოლუშვილი.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

მოაფესარიგეთ ეს საქმე.

პირველ საარტილერიო ლეგიონის ბიბლიოთეკაში მრავალად მოიპოვება წითელ არმიელებისათვის გამოსადეგი წიგნები, მაგრამ მოუხმარებლად რჩება, რადგან ბიბლიოთეკაში არაა გამოკრული ასეთი წიგნების კატალოგი, რომელიც გაუადვილებს ამხანაგებს წიგნის ამორჩევას. ასეთი მუშაობით ნაყოფს ვერ მივიღებთ თუ მიღებული არ იქნა შესაფერი ზომები. საჭიროა მეტი ენერგიის და მუყაითობის გამოჩენა ბიბგამგის მიერ.

სამხკორი კოლიმატორი.

ფკიპურტეები.

(სამხკორთა წერილებიდან)

ეს ეე ეკონომია.

დარდი-მანდომა ძველათვე ქებულია. ქებულია აგრეთვე ხელ-გაშლილი ცხოვრება. კარგია (თუ გაქვს) ფულების ფანტვა მარცხნივ-მარჯვნივ. ზოგი ძმა-ბიჭებიც იქცეოდნენ ასე, რას იზამ: უყვარდათ კეთილი ცხოვრება და თვისი თუ არა, სხვისი ქონების ფლანგვა. ეხლა ეკონომიაა საჭირო, ეკონომია და ეკონომია. ეკონომია არა მარტო მსხვილ რამეებში, წვრილმანებშიაც.

1-ლი ლეგიონი როცა ნაგავს აზიდვინებს აეზარმიდან მტკვარში გადასაყრელად ნაგვის ფურგუნზე წინ უდგას 3 ნაჭერ და უკან კიდევ 3 ნაჭერ შეშას. ამბ, რა არის 6 ნაჭერი შეშა ერთ გზაზე, მაღლობა ღმერთს, ზამთარი გავიდა, ზაფხული გვიწვია, შეშა ბევრი არ დაგვჭირდება. დეე, ნაგვის მზიდველმა ისარგებლოს და გაყიდოს თითო გზაზე 6 ნაჭერი შეშა.

ვეფხვი, ბატები და სხვა.

არის ხოლმე უკულმართობა ცხოვრებაში. ეს უკულმართობა, ზოგს დაბადებიდანვე დაჰყება, ზოგი შეიძენს ცხოვრების გზაზე. ხან და ხან უკულმართობის მიზეზები არის ვგვარი ადამიანის; მერწმუნეთ, ვგვარს დიდი გავლენა აქვს ადამიანზე. ავიღოთ, მაგალითად, ვგვარი ვეფხვაძე, როგორ გგონია, როგორი ადამიანი იქნება ამ ვგვარის მატარებელი პიროვნება? წარმოდგენა ამისა არ არის ძნელი.

№ ლეგიონის მე-2-ე ასეულში ერთ-ერთი თანამდებობა უჭირავს ამ ვგვარის პატრონს, ისე გამოიყურება, ვითა ულრან ტყეში ვეფხვი. აბა, ყური დაუგდეთ, როცა ის ელაპარაკება წითელ არმიელებს: შე ბატო, პირდია, კისერმოღრეცილო, რქიანო—ეი ის სიტყვები, რომელიც მარგალიტისამებრ იფრქვევიან მის ბაგედან.

რა უყოთ, თითონ ხომ ვეფხვია! ვეფხვი ხომ ბატს არ გაუყადრებს თავს!

ცენზორი კანცელარიაში.

—კაცო, წერილი გავგზავნე რედაქციაში და ჯერაც არ მისულა, ეი ერთი კვირა გავიდა.

—მიაკითხე ცენზორს?

—რა ცენზორს, რას ამბობ?

—როგორ თუ რა ცენზორორ—კანცელარიაში.

მე-6-ე ლეგიონის № ასეულის კანცელარიაში მოკალათებულან ცენზორები. მიაქვთ წერილები, დაბეჭდილ კონვერტებით, რედაქციაში გადასაგზავნათ მაგრამ, ეი ასეულის ზემდეგი და მისი დამხმარე მწერალი. სიდინჯით, როგორც შეეფერება ცენზორს, ხსნის კონვერტს. თუ წერილი მოეწონა, გადაგზავნის რედაქციაში, თუ არა და—ნაგვის ყუთში.

ვეკითხებით შიგვეტყობინონ: რომელ ბრძანების ძალით არიან აღნიშნული ზემდეგი და მწერალი ცენზორებათ?

ე ხ.

არა გვაქვს საათი.

მესამე ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს საათი, რის გამო ძლიერ ფერხდება გუშაგების გამოცვლა თავის დროზე. დროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და მოაწესრიგონ საქმე, თორემ ბოლო არ ეღება უკმაყოფილებას გუშაგებს შორის.

სამხკორი ბ—ლი.

პური არ გვივარგა.

ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისის გარნიზონის ნაწილებისათვის მეტად ცუდი ხარისხის პური მზადდება. ამის გარდა პურს არ აცხობენ კარგად—უსუფთაობა და გამოუმცხვარი პური ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა, რამაც მუცლის ტკივილი აუტანა წ. არმიელებს. დროა მოაგვაროონ პურის ცხობის საქმე.

სამხკორი „ბინოკლი“

მოგვეცით წყლის ჭურჭელი.

მე-4 ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს წყლის ჭურჭელი. წითელ არმიელებს დიდ მანძილზე გვიხდება ამისათვის სიარული რომ დავიკმაყოფილოდ წყურვილი. ამ გარემოებას უწესრიგობა შეიქმნა სამსახურის წესიერად ასრულებაში. მოგვეცით ერთი წყლის მოსაკავებელი, რომ აღარ დაგვჭირდეს სირბილი ყოველ წუთში.

წითელი არმიელი.

უცხოეთის არმიებში

ლატვიის ახალგაზრდობის გასამხედროება.

იანვრის ბოლო რიცხვებიდან, ლატვიის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლითაც ლატვიის ყველა დაწესებულებებში მოსამსახურე, მოსწავლე და სხვა ახალგაზრდობა ვალდებულია გაიაროს წინასწარი სამხედრო მომზადება. ბრძანებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ყველა საფეხურების სკოლებში სამხედრო მომზადება შედის სამოსწავლო პროგრამაში და ხდება სავალდებულოდ.

პირველ 4 კლასში წინასწარი სამხედრო მომზადება გაერთიანეს გიმნასტიკის გაკვეთილებთან. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ამ კლასებში ფიზიკურსა და მოლარული აღზრდის საქმეს. რადგანაც დაწყებითი სკოლებში მრავალი ისეთი ახალგაზრდობაა თავმოყრილი, რომ შემდეგში ველარ აგრძელებენ სწავლას, ამიტომ მათთან თითქმის სრულიად ამთავრებენ წინასწარი სამხედრო მომზადების კურს. გაკვეთილებში მას ბევრი დრო აქვს დათმოილი.

საშუალო სასწავლებლებში და და სამოსწავლო ინსტიტუტებში სამხედრო საქმეში მეცადინეობას ხელმძღვანელობს მახლობელ ნაწილების უფროსმადგენლობა. იმ შემთხვევაში თუ ეს მოუხერხებელი შეიქნა რაიმე მიზეზების გამო, სამხედრო მეცადინეობის წარმოება ევალება სასწავლებლის მასწავლებლებს და პიროვნ კი გიმნასტიკის მასწავლებლებს.

ასეთებმა კი, (მასწავლებლებმა) რომლებსაც სურთ სამხედროო მეცადინეობის ხელმძღვანელობა, აუცილებლად უნ[illegible] დათანაონ განსაკუთრებული [illegible] რსები.

სამოსწავლო გეგმები და პ[illegible] გრამები მუშავდება სამხედ[illegible] და განათლების სამინისტრ[illegible] ბისაგან.

როგორც ზევით ავღნიშნ[illegible] განსაკუთრებული ყურადღ[illegible] ექცევა ახალგაზრდობის მო[illegible] ლურად აღზრდის საქმეს. მ[illegible] ში ძლიერ ინვითარებენ „[illegible] შობლოსადმი“ სიყვარულის [illegible] ძნობას, სიმამაცეს და სხვ. [illegible] სათვის მოწაფეებს შერჩევ[illegible] აწვდიან არა მარტო სასწავ[illegible] წიგნებს, არამედ ბელეტრის[illegible] კასაც. ხშირად აწყობენ [illegible] კურსიებს ისტორიული ად[illegible] ლების სანახავად. გალობის [illegible] კვეთილების დროს ყურადღ[illegible] ექცევა, რაც შეიძლება [illegible] რიოტული ლექსები ასწავ[illegible] ბავშვებს. იარაღებსა და წერ[illegible] ბებს სამხედრო მეცადინეო[illegible] სათვის იძლევა სამხედრო [illegible] ნისტრო, დანარჩენ ხარ[illegible] სკოლებში—განათლების [illegible] ნისტრო, ხოლო დაწესებულ[illegible] ბებში კი თვით დაწესებულ[illegible]

ამბავი ამბავი

— **თოვლი ტფილისში.** მარტის ბოლო რიცხვებში ამინდების ხშირი ცვალებადობის შემდეგ 1 და 2 აპრილს ერთბაშათ დადგა თბილი და მზიანი დღეები. 4 აპრილს საგრძნობი აცივებისა და წვიმის შემდეგ დაიწყო თოვა, ხოლო გუშინ კი თითქმის დილიდანვე ვე განუწყვეტლივ სთოვდა.

— **ამიერ კავკასიის სასამ.** გამოფენაზე ჩაეწერა იტალიური ახალი ფირმა „ალფა-რომეო“, რომელიც გამოფენაზე ბ ვენის ტრაქტორებს და ავტომობილებს.

— **ტფილისის აღმასკომი** ამ დღეებში დასარულებს ტრამვაის მეორე ხაზის გაყვ[illegible] კოჯრის გზა-ტკეცილამდე.

— **სოც. დაზღვევის** მართველო 1-ლი ინსპ[illegible] შეუდგება ავთომყოფების [illegible] ზვნის საზიზღულო აგარაკ[illegible]

— **ჯანსახკომმა** მიიღო [illegible] ზღვარ-გარეთიდან თვალის [illegible] ტიტუტისათვის საჭირო [illegible] რატები.

— **45 ექიმი.** ჯანსახკ[illegible] პროვინციაში სამუშაოთ [illegible] ვევს 45 ექიმს.

— **ქალაქის ჯანმრთელ[illegible]** ბის განყოფილება ხსნი[illegible] ლის საექიმო ცენტრალ[illegible] კლინიკას.

ჩვენი ფოსტა.

რეხვიაშვილს თქვენი წერილი სოლოლაში შეჯიბრის შესახ[illegible] არ დაიბეჭდება. ასეთი ერთხელ დაიბეჭდა ჩვენს გაზ[illegible] ში. მოიწერეთ სხვაზე.

მეფარეიშვილს, ი. ჭინჭარაძეს, მიქაბერიძეს და **ფ—შვილ[illegible]** და **შრაბნელს** თქვენი წერილები „1905 წ. დაბადებ[illegible] ლთა წინასწარი მომზადება“, „ხარაგოულის წერ[illegible] „ჩვენც ვემზადებით“, „მოკლე ვადიანი შეკრება“ „სილნაღის მაზრა“, ძლიერ დაგვიანებით, მივიღეთ, [illegible] გმო აღარ დაიბეჭდება.

ამხ. კვიკვიძეს გაზეთების სიმცირის შესახებ, მოახლ[illegible] უფროსს. თუ არ გაყოფნით გამოგიწერენ მეტს.

ლეძებაძეს კორესპონდენცია „სულ სიბნელის ბრალია“ [illegible] დაგზავნა გაზ. „ახალი სოფლის“ რედაქციას.

დეისაძეს თქვენი კორესპონდენცია ლეგკლუბის შესახებ [illegible] დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

მე-5 ასეულის პოლიტხელს ბალთუორიას თქვენ მიერ [illegible] დმოგზავნილი 4 ბ. 5 კაპ. რედაქციამ მიიღო. სიჩქარ[illegible] გადმოგზავნეთ იმ პირთა სია და მისამართები სადაც [illegible] და გადაიგზავნოს გაზეთები, ვინაიდან დღემდე [illegible] არ მიგვიღია.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ლეგიონის სკოლის კომუჯრედში შემოტ[illegible] აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატებათ მიღებ[illegible] სახებ შემდეგ ამხანაგებს: დეკიძე ანდრო ნიკოლოზის ძ[illegible] ნებიერიძე ალექსანდრეს, ორივე კომკავშირის წევრები.

ვისაც გაქვთ რაიმე საწინააღმდეგო პარტიაში მათ[illegible] ღების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ თუთხმეტი დღის [illegible] მავლობაში.

ნ. დ. ს. ფ. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.